

სალაპარაკო და ააგენტურ ტრაფიკებს შორის საინიციაციო რესურსების გადაცავილების პარამეტრების აზრობის მეთოდიკა

ომარ შამინაძე¹, გიორგი შამინაძე²

1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2-შპს „მობიტელი”, თბილისი


რეზუმე

თანამედროვე პირობებში ისეთი მომსახურების ზრდასთან დამოკიდებულებით, რომელიც დაფუძნებულია მონაცემთა გადაცემის პაკეტურ კომუტაციაზე, მობილური ოპერატორების წინაშე დგება არც თუ ისე მარტივი ამოცანა, განსაზღვროს არსებული რესურსის გადანაწილების სტრატეგია ორ ურთიერთ კონკურენტი - მონაცემთა პაკეტურ გადაცემის და სატელეფონო ტრაფიკის მომსახურებებს შორის, რადგანაც თრივე მომსახურება იყენებს ერთსა და მასები ფიზიკურ რესურსს. პრაქტიკულად მოწყობილობის ყველა მწარმოებელი კომპანია საშუალებას იძლევა ნისტად დაფიქსირონ ტაიმ-სლოტი ამა თუ იმ მომსახურებისათვის, ე.ი. ოპერატორს შეუძლია მთელი არსებული ტევადობა გამოყოს მონაცემთა პაკეტური გადაცემისათვის, ან პირიქით აკრძალონ GPRS-თვის (საერთო მოხმარების პაკეტური რადიოკავშირისათვის) ტაიმ-სლოტების გამოყოფა.

საკანონი სიტყვები: საინიციაციო რესურსი. მოდელირება. პაკეტური კომუტაცია. მასობრივი მომსახურების სისტემები. ტრაფიკი. მონაცემთა გადაცემა.

1. შესავალი

უმრავლეს შემთხვევაში იმის გადასაწყვეტად თუ რა რესურსი უნდა იქნეს გამოყენებული GPRS-თვის დაფუძნებულია ფიჭაში მიმდინარე დატვირთვის შედარებასთან ოპერატორის მიერ მოცემულ ზღვრული დატვირთვის დონესთან [1,2]. დატვირთვად მიიღება მომსახურების ტიპის მიუხედვათ დაკავებული ტაიმ-სლოტების რაოდენობა. 1-ელ ნახაზზე გრაფიკულადაა მოყვანილი GPRS-თვის ტაიმ-სლოტების გამოყოფის პროცესი.



ნახ.1. GPRS-თვის ტაიმ-სლოტების გამოყოფის პროცესი

ნახაზის მიხედვით ავსნათ პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს საინიციაციო რესურსების დინამიკური გადანაწილების დროს [3,4]:

- 1 – ფიჭაში გადაცემის პაკეტურებულია GPRS, რისთვისაც გამოიყენება 1 ტაიმ-სლოტი;
- 2 – პაკეტური ტრაფიკი იზრდება და რადგანაც ხმოვანი ტრაფიკი მცირეა, სისტემა საშუალებას იძლევა GPRS-თვის დაკავებული იქნეს ყველა შესაძლო ტაიმ-სლოტი;
- 3 – ხმოვანი ტრაფიკი აგრძელებს ზრდას, საერთო დატვირთვა აჭარბებს დაშვებულ ზღვარს (HIGH_TRAFFIC) და სისტემის თვალსაზრისით ფიჭა გადადის მაღალი დატვირთვის მდგომარეობაში;
- 4 – ხმოვანი ტრაფიკი კიდევ უფრო იზრდება, საერთო დატვირთვა ჯერ კიდევ აჭარბებს დაშვებულ ზღვარს, GPRS-დან კიდევ ერთი ტაიმ-სლოტი თავისუფლდება ხმოვანი ტრაფიკის სასარგებლობი. იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნებულია ხმოვანი ტრაფიკის ზრდის დინამიკა, მაშინ პაკეტური ტრაფიკისათვის გამოყოფილი ტაიმ-სლოტების რაოდენობა თანდათან მცირდება სიდიდეზე, რომელიც MAX_PDCH_HIGH_TRAFFIC მნიშვნელობითაა აღნიშნული;
- 5 – ხმოვანი ტრაფიკი მცირდება შემცირდა, და ფიჭის საერთო დატვირთვა მცირეა დაშვებულ ზღვარზე. მაგრამ მისი მნიშვნელობა ისეთია, რომ ფიჭაში GPRS-თვის ტაიმ-სლოტის გამოყოფა იწვევს დატვირთვის დასაშვებ ზღვარზე გადამეტებას, ამიტომ დამატებითი რესურსის გამოყოფა პაკეტური ტრაფიკისათვის არ ხდება;
- 6 – ხმოვანი დატვირთვა აგრძელებს შემცირებას, ამასთან სისტემას საშუალება აქვს აუცილებლობის შემთხვევაში გამოყოს დამატებითი რაოდენობის ტაიმ-სლოტები პაკეტური ტრაფიკისათვის. ამასთან მათი რაოდენობა ისეთია, რომ საერთო დატვირთვამ არ გადააჭარბოს HIGH_TRAFFIC ზღვრულ მნიშვნელობას.

2. ძირითადი ნაწილი


ამრიგად, რესურსების დინამიურად მართვის გააქტიურების პირობებში აუცილებელია განისაზღვროს ძირითადი ლოგიკური პარამეტრების მნიშვნელობები, რომლებიც პასუხს აგებენ ამ ოპციის მუშაობაზე. დასაწყისში მოვიყენოთ თეორიული გათვალისწინები, რომლებიც საშუალებას მოვადებს გავარკვით რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ ზემოთ აღნიშნულ ლოგიკურ პარამეტრებს, ხოლო შემდეგ თეორიულად მიღებული მონაცემები დავასაბუთოთ პტაქტიკული შედეგებით.

პაკეტური გადაცემისათვის უარის ალბათობის გამოსათვლელად გამოვიყენოთ [3]-ში მიღებული შედეგები:

$$P_{\text{ალბათობა}} = \frac{\sum_{i=M-N+1}^{\infty} \frac{(U \cdot N)^i}{N! \cdot N^{(i-N)}}}{\sum_{i=0}^N \frac{(U \cdot N)^i}{i!} + \sum_{i=N+1}^{\infty} \frac{(U \cdot N)^i}{N! \cdot N^{(i-N)}}} \quad (1)$$

სადაც: U – პაკეტური ტრაფიკის გადაცემისათვის შენახული რესურსია და ტოლია პაკეტური ტრაფიკის შეფარდებისა არხების იმ რაოდენობასთან, რომლებიც გამოყოფილია პაკეტური ტრაფიკის გადასაცემად; M – ერთ ტაიმ-სლოტში TBF-ის (დროებითი ბლოკების რაოდენობა) მაქსიმალური მნიშვნელობაა (მიღებულია 9-ის ტოლად); N – მონაცემების პაკეტური გადაცემისათვის (NGPRS) გამოყოფილი არხების დამოკიდებულებაა დაკავშირდებული არხების საერთო რიცხვთან (Nსაერ.).

MAX_PDCH_HIGH_TRAFFIC და HIGH_TRAFFIC პარამეტრების მნიშვნელობები განისაზღვრავთ NGPRS-ის რაოდენობას (ნახ.2), საიდანაც ჩანს, რომ მონაცემთა პაკეტური გადაცემისათვის ერთი ტაიმ-სლოტის გამოყოფა GPRS მომსახურებისათვის იწვევს უარის ალბათობის შემცირებას 20%-ით.



ნახ.2 უარის ალბათობის დამოკიდებულება NGPRS-ის მნიშვნელობაზე

ფაქტურად ოპერატორი ბლოკირებას უკეთებს GPRS მომსახურებას დიდი ტრაფიკის დროს. უარის ალბათობის 20%-ით შემცირება საშუალებას იძლევა, პირველ შემთხვევაში მობილური ტერმინალით ქსელთან განხორციელდეს სასამსახურო ინფორმაციის გაცვლა, ე.ო. არ დაიკარგოს GPRS-ის ქსელი ლოდინის რეაქტიულობა, ამრიგად, შედეგები, რომლებიც მიღებულია (1) ფორმულით, საშუალებას იძლევა დაგასკვნათ, რომ პაკეტური ტრაფიკისათვის აუცილებელია დაგიკავოთ მინიმუმ ერთი ტაიმ-სლოტი. ახლა აღნიშნული ამოცანა განვითილოთ პრაქტიკაში, ესპერიმენტალური შედეგების საუჯველზე. ამისათვის მობილური ქსელის საცდელ მონაცემთაზე განხორციელდა პარამეტრების მნიშვნელობის რიგი ცვლილება და ასეთი ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ ყველა სექტორისათვის, ტრანსივერის რაოდენობიდან დამოუკიდებლად და Half Rate რეჟიმის დროს საჭიროა დავაყენოთ მონაცემები 1-ელ და მე-2 ცხრილების მიხედვით.

ცხრ.1

პარამეტრი	მნიშვნელობა
T-DYN	15 წე.
UL_INIT_CS	CS 2
DL_INIT_CS	CS 2
MAX_PDCH_HIGH_TAFFIC	1
N_TBF_PER_TS	1

ცხრ.2

TRX/პარამეტრის რაოდენობა	HIGH_TAFFIC	MAX_PDCH
1 TRX	83%	5 (6)
2 TRX	92%	12 (13)
3 TRX	90%	19 (21)
4 TRX	93%	26 (28)
5TRX	94%	34 (36)
6 TRX	95%	41 (43)

ამასთან ივარაუდება, რომ მობილური ქსელის სექტორების არა ნაკლებ 90%-ს 1 TRX-ით (მიმღებადამცემი) გააჩნიათ 6 ტაიმ-სლოტი, რომლებიც არაა დაკავებული სასამახურო არხებით, 2 TRX-ით – 13 ტაიმ-სლოტი, 3 TRX-ით – 21 ტაიმ-სლოტი, 4 TRX-ით – 28 ტაიმ-სლოტი, 5 TRX-ით – 36 ტაიმ-სლოტი, 6 TRX-ით – 43 ტაიმ-სლოტი.

აღნიშნულმა აწყობამ საშუალება მოგვცა მთელ ქსელში გაგვეზარდა **Pგათ.-GPRS**-ის მნიშვნელობა დაახლოებით 3-4%-ით (იხ. ნახ. 3). ამასთან TCH-ზე (სალაპარაკო არხი) გადატვირთვა პრაქტიკულად არ შეცვლილა. დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ძირითადი წვლილი მოდიოდა ერთტრანსივერიან და რამდენიმე ორტრანსივერიან სექტორებზე (რომლებიც მუშაობენ Full Rate რეჟიმში) დატვირთვით 11-12 ერლანგთან სიახლოვეს.

3. დასკვნა

ლოგიკური პარამეტრების მართვის ალგორითმის გარდა, რომლებიც პასუხს აგებენ „პირდაპირი გადადანიშნულების“ პროცედურებზე, GSM სტანდარტის ქსელებიში გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, შემოთავაზებულ იქნა ქსელის აწყობის ალგორითმი, რომელიც ითვალისწინებდა GPRS ტექნილოგიას. თეორიული ანალიზის ჩატარების და პრაქტიკული შედეგების საფუძვლზე შეიძლება ითქვას, რომ საწყის აწყობად, დიდი ხმოვანი ტრაფიკის დროსაც კი მაზანშეწონილია დაყენებულ იქნას პარამეტრები მე-2 და მე-3 ცხრილების მიხედვით. დამუშავებული ალგორითმები შეიძლება გამოყენებული იქნას ქსელის მართვის ცენტრიდან ხელით აწყობის დროს. მეორე თაობის მობილური ქსელებისათვის განსაკუთრებულ პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს ახალი ოპციის დამუშავება, რომელიც საშუალებას იძლევა ავტომატურად მიმდინარე სიტუაციიდან და დატვირთვის ზრდიდან გამომდინარე, ისე ააწყოს ლოგიკური პარამეტრები, რომ უფრო ეფექტურად იქნეს გამოიყენებული არსებული რესურსი.

ლიტერატურა:

1. Hwei-Wen Ferng, Yi-Chou Tsai. Using priority, buffering, threshold control, and reservation techniques to improve channel-allocation schemes for the GPRS system, IEEE Transaction on Vehicular Technology, Volume 54, Issue 1, Jan.2005, pp.286-306.
2. Recommendation ETSI. GSM 04.60.V8.1.0 (1999-11), European Standard (Telecommunications Series), Digital Cellular Telecommunications System (Phase 2+); Mobile Station (MS)-Base Station System (BSS) Interface; Radio Link Control/Medium Access Control (RLC/MAC) Protocol (GSM 04.60. Version 8.1.0 Release 1999).
3. Halonen T., Romero J., Melero. GSM, GPRS and EDGE Performance, John Wiley and Sons, 2003, pp.236-571.
4. Phone Lin, Yi-Bing Lin. Channel allocation for GPRS, IEEE Transaction on Vehicular Technology, Volume 50, Issue 2, Mar. 2001, pp.375-387.

METHOD OF PARAMETERS CUSTOMIZING OF INFORMATIONAL RESOURCES DISTRIBUTION BETWEEN SPEECH AND PACKAGE TRAFFICS

Shamanadze O., Shamanadze G.
Georgian Technical University, LTD "Mobiteli", Tbilisi
Summary

The represented paper considers the problem of determining the strategy of resource allocation between the two competing services - packet data and voice traffic, as these services share the same physical resources. There is proposed an algorithm for building the network, which includes a GPRS technology. For mobile networks, the second generation of practical interest is the development of a new option that allows taking into account the current situation and an automatic load growth, to build the logical options so that more efficient use of available resources.

GPRS